

## **ეკონომიკის განვითარების სამოქმედო პროგრამა**

ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობა, სამართლიანი სახელმწიფოსა და სამართლიანი სასამართლოს აშენებაა, რაც თავის მხრივ, ნიშნავს ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართ ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისა და რეპრესიული კანონის გაუქმებას, რათა სრულიად გამოირიცხოს მეწარმეთა უფლებებისა და თავისუფლების შელახვა.

ხელისუფლებამ ვერ გადაჭრა ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ამოცანები. რადიკალურად უნდა შეიცვალოს საშინაო, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და მართვის დამკვიდრებული სტილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის განვითარებას პერსპექტივა არ ექნება.

საქართველოს დღეს ისეთი ხელისუფლება სჭირდება, რომელიც შეძლებს არსებული მდგომარეობის გაანალიზებასა და შეფასებას, კომპეტენტურ, პატრიოტ ადამიანებს ჩართავს ქვეყნის მართვაში და დასახავს კრიზისიდან გამოსვლის კონკრეტულ გზებს. მხოლოდ ახლებურად მოაზროვნე მთავრობა და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი ხელისუფლება შეძლებს განვითარების სწორი სტრატეგიის შექმნას და ძლიერი, თანამედროვე სახელმწიფოს აშენებას. ქვეყნის წინაშე არსებული უმთავრესი პრობლემის, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა მხოლოდ ახალ, კომპეტენტურ, არაკორუმპირებულ, ხალხის ინტერესების რეალურად გამომხატველ ხელისუფლებას შეუძლია. ჩვენს პოლიტიკურ მოძრაობაში გაერთიანებულ, საქმიანობიდან მოსულ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კონკრეტულ ადამიანებზე უკეთ არავინ იცის შრომის ფასი. ამიტომაც გვსურს, პირველ რიგში, შრომის უფლება და შესაძლებლობა მივცეთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, რათა შევქმნათ ისეთი პირობები, როდესაც ნებისმიერ მათგანს შეეძლება საკუთარი შრომით არჩინოს ოჯახი, გამდიდრდეს და მით არგოს ქვეყანას. ერთი იდეისა და ერთი მრწამსის გარშემო ჩვენს საზოგადოებაში გაერთიანებულ, განსხვავებული პროფესიის წარმომადგენლებს კარგად ესმით და სჯერათ, რომ ეკონომიკის განვითარების გარეშე ვერ შეიქმნება იმის პირობა, რომ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებმა მოქალაქეებმა იცხოვრონ ღირსეულად.

ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია:

- 1) წარმატებული საგარეო პოლიტიკა;
- 2) წარმატებული საშინაო პოლიტიკა;
- 3) ინიციატივა;

საქართველო ვერ განთავისუფლდება სიღარიბისგან, თუ არ ექნება სწორი, თანმიმდევრული საგარეო და საშინაო პოლიტიკა; საქართველო ვერ განთავისუფლდება სიღარიბისგან, თუ ხელი არ შეეწყობა თითოეული ადამიანის ინიციატივას, ამიტომ ჩვენი უმთავრესი ამოცანა, მართებული საგარეო და საშინაო პოლიტიკის უზრუნველყოფა და ინიციატივების განვითარებაა.

### **წარმატებული საგარეო პოლიტიკა**

საგარეო ურთიერთობებში პრიორიტეტული უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და რეგიონული უსაფრთხოების გარანტიების შექმნა, რაც შესაძლებელია მიღწეულ იქნეს მოწინავე სახელმწიფოების - აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია - მხარდაჭერის გააქტიურებით.

საერთაშორისო ინსტიტუტებთან - გაერო, ევროკავშირი, ეუთო, ევროსაბჭო, ნატო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია - საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობით. ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს ინტეგრაციის პროცესი ნატოსა და ევროკავშირთან.

საქართველო, როგორც გეოპოლიტიკურად, ისე კულტურულად განეკუთვნება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა რიგს. ამიტომ, ევროპის სახელმწიფოთა ერთობაში საკუთარი ადგილის მოპოვება ქართული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანად უნდა იქცეს.

საქართველოს, კავკასიაში, ევრაზიის ამ უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინზე, გაბატონებული გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია. ამიტომაც, უშუალო მეზობლებთან აქტიური და ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობა საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად უნდა იქცეს. სხვაგვარად შეუძლებელი გახდება ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმ რთულ ვითარებაში, რომელიც შექმნილია კავკასიაში, ახლო და შუა აღმოსავლეთში. ქართულმა საგარეო პოლიტიკამ უნდა გამოიჩინოს ვითარების შესაბამისი მოქნილობა და გონიერება. ეს აუცილებელი თვისებები მას ამჟამად აშკარად აკლია. რასაკვირველია ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა კვლავაც რჩება უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. მსოფლიოს ამ უძლიერეს და ყველაზე განვითარებულ ქვეყანასთან სტრატეგიული თანამშრომლობა, საქართველოს ძირეული ეროვნული ინტერესების შესატყვისია. ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტნიორები უნდა გახდნენ საქართველოსათვის შავი ზღვის ქვეყნები. ეს ურთიერთობები მომგებიანი იქნება როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად. ჩვენ მომხრენი ვართ დაბალანსებული საგარეო პოლიტიკისა, რომელიც საქართველოს ძირეულ ეროვნულ ინტერესებთან აუცილებელ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს. წარმატებული საგარეო პოლიტიკა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველია.

### **წარმატებული საშინაო პოლიტიკა**

ძლიერი სახელმწიფოს ბალანსური ძლიერი ეკონომიკაა. ჩვენი უპირველესი ორიენტირი ეროვნული ეკონომიკის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების გზით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რისთვისაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ხელისუფლებათა რეალური დანაწილება და დაბალანსება. ხელისუფლებათა დანაწილება უნდა მოხდეს როგორც კორიზონტალზე-საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო, ისე ვერტიკალზე - ცენტრალური, სამხარეო, ადგილობრივი. აუცილებელია სასამართლო გახდეს დამოუკიდებელი მოსამართლეების საყოველთაო არჩევნებით არჩევის გზით.

ქვეყნის სამხარეო მოწყობა უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკურ, გეოგრაფიულ, ისტორიულ პრინციპებს და სრულად შეესაბამებოდეს ჩვენი ბუნებისა და ყოფის მრავალფეროვნებას, რაც ხელს შეუწყობს ხელისუფლების გადანაწილებას ცენტრსა და რეგიონებს შორის, აგრეთვე მცირე ქალაქების განვითარებას, მთის სიცოცხლის უნარიანობის ამაღლებას. რაც მთავარია, ბოლოს და ბოლოს, უნდა დამკვიდრდეს ჭეშმარიტი თვითმმართველობა, როგორც ადგილობრივ (სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი), ისე სამხარეო დონეზე. თვითმმართველ ერთეულს უნდა გააჩნდეს სუბსიდიარობა. ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ მასმედია და არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციები. მხოლოდ ამ პირობების დაცვის შემთხვევაში გახდება შესაძლებელი კორუფციის საბოლოო აღმოფხვრა და ჭეშმარიტად თავისუფალი ეკონომიკისა და რეალური დემოკრატიის დამკვიდრება.

უსაფრთხოება ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, დაცულ იქნას, როგორც მთელი სახელმწიფოს, ისე თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება, რაც შესაძლებელია,

როგორც სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულებით, ასევე პოლიციისა და საზოგადოების ურთიერთ თანამშრომლობის გაძლიერებით. უსაფრთხო ბიზნეს გარემოსა და მდგრადი საკანონმდებლო ბაზის შექმნით თითოეულ მოქალაქეს საშუალება მიეცემა გამოიჩინოს ინიციატივა, იმუშაოს, წამოიწყოს საქმიანობა, დაძლიოს სიღარიბე საკუთარ ოჯახში, ვინაიდან, ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე, იწყება თითოეული ქართული ოჯახის კეთილდღეობიდან.

ქვეყნის მოქალაქეთა მთავარი მახასიათებელი უნდა გახდეს თავისუფლება, ღირსება, კეთილდღეობა, ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა, ეროვნული ერთიანობა, თავისუფალი ეკონომიკის პრინციპების დაცვა, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, მაღალტექნოლოგიური და მეცნიერება ტევადი დარგების სტიმულირება, საგარეო ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარება, მეწარმეობის წახალისება, კანონმდებლობის დახვეწა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, უსაფრთხოება, მოსახლეობის დაცვა ნებისმიერი სახის საფრთხისაგან.

სასამართლო აუცილებლად უნდა გახდეს დამოუკიდებელი, რისთვისაც აუცილებელია მათი საყოველთაო სახალხო ასრჩევნების გზით არჩევა, რაც უზრუნველყოფს მათ ხელშეუხებლობას. სახელმწიფოდ ჩამოყალიბება საფუძველია უმუშევრობის აღმოფხვრის, საშუალო და წვრილი ბიზნესის განვითარების, ქარხნების, ფაბრიკების, გადამამუშავებელი მრეწველობის ამუშავებისა და მეტი სამუშაო ადგილების შექმნის – რაც მიღწევადია მხოლოდ და მხოლოდ მართებული, წარმატებული საშინაო პოლიტიკით.

### *ინიციატივა*

საქართველოს ეკონომიკის განვითარება უნდა წარიმართოს ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად. უცილებელია იმ ტენდენციათა გათვალისწინება, რაც თანამედროვე ეკონომიკას ახასიათებს. სწორად უნდა იქნას შეფასებული ჩვენი შესაძლებლობები და ანგარიში გაეწიოს ტრადიციებს.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კატაკლიზმებმა დაადასტურეს, რომ რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენება შეუძლებელია ეროვნული წარმოების განვითარების გარეშე. მერაბ კოსტავას საზოგადოება მხარს უჭერს ეკონომიკური ლიბერალიზმის დამკვიდრებას, რომლის განვითარების პროცესი სრულიად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მხრიდან უხეშ ჩარევას. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა უნდა შემოიფარგლებოდეს, მხოლოდ და მხოლოდ მიმიქცევაში არსებულ ფულის მასის ზრდის სტაბილურობის უზრუნველყოფით. მონეტარული წესით, მიმიქცევაში არსებული ფულის მასა ყოველწლიურად უნდა გაიზარდოს მთლიანი ეროვნული პროდუქციის პროცენტული ზრდის ტემპის თანაბრად; ფულადი მასა მყარად უნდა იზრდებოდეს 3-5%-მდე ტემპით წელიწადში.

მთავრობის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკონომიკური სტაბილიზებაა. აუცილებელია სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დარგების ( სათბობ-ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა) მიერ გამომუშავებული პროდუქციის თვისობრივად ახლებური წარმოება. ასევე, ფასებისა და შემოსავლების რეგულირების გზითინფლაციურ პროცესებზე კონტროლის დაწესება და ეკონომიკური რეფორმების გაღრმავება. მეწარმეთა რაც შეიძლება ძლიერი ფენის დაჩქარებული ფორმირებისთვის, ჩვენ შევქმნით პირობებს და იმავდროულად მოსახლეობის გაჭირვებულ ფენას გავუწევთ მიზანსწრაფულ დახმარებას, რაც თავის მხრივ, რეფორმისადმი მათი მხარდაჭერის გარანტიც .

საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკა მოწმობს, რომ საბაზრო ეკონომიკა, არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ ფუნქციონირებს სახელმწიფოს გარკვეული ჩარევის გარეშე. ყველაზე

მეტად ეს შეეხება სახალხო სტრუქტურის სრულყოფასა და სოციალური პროცესების მართვას. აუცილებელია მოდერნიზებულად აღვადგინოთ ეკონომიკური მართვადობა საკვანძო დარგებში. სახელმწიფო მეცნიერულ და სხვა ქვეყანათა გამოცდილების გამოყენებით მართვადი გავხადოთ ეკონომიკის ბაზრისაკენ მოძრაობის მთელი პროცესი. უცილებელია ქვეყნისთვის სტრატეგიული დარგების (სათბობ-ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და სხვა) პროდუქტის თვისობრივად ახლებური წარმოება. ასევე ფასებისა და შემოსავლების რეგულირების გზით კონტროლის დაწესება ინფლაციურ პროცესებზე და ეკონომიკური რეფორმების გადრმავეება. ჩვენ შევქმნით პირობებს მეწარმეთა ძლიერი ფენის რაც შეიძლება სწრაფად ფორმირებისათვის და იმავდროულად მოსახლეობის გაჭირვებულ ფენას გავუწევთ მიზანსწრაფულ დახმარებას, რაც რეფორმისადმი მათი მხარდაჭერის გარანტიც იქნება.

ამ მოდელის მიხედვით, მეწარმეობის განვითარებისათვის აუცილებელია შეიქმნას ისეთი გარემო, რომელშიც მეწარმეს ექნება საქიანობის თავისუფალი არჩევის უფლება, იხელმძღვანელებს პირადი ეკონომიკური ინტერესებით, მაქსიმალური შემოსავლების მიღების მიზნით. ასევე შეიქმნება საინვესტიციო პირობა წარმოების გაფართოებისათვის. ერთი სიტყვით, აუცილებელია მიწოდების სტიმულირება, რომლის ამოსავალი, შედავათიანი საგადასახადო სისტემაა. გადასახადების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საწარმოს მთლიანი შემოსავლების 35 – 40 % . ასეთი პოლიტიკით, საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში მაქსიმალურ ოდენობას მიაღწევს. გადასახადის განაკვეთების შემცირებით ხდება არა მხოლოდ მიწოდების, არამედ მოთხოვნის გადიდების სტიმულირებაც, რამდენადაც დაბეგვისაგან განთავისუფლებული თანხები ზრდის შემოსავლებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია როგორც სამომხმარებლო საქონლის შესაძენად ასევე ინვესტიციებისთვის.

აღნიშნული პროგრამა ასევე გულისხმობს მოსახლეობის სოციალურ დაცვას, რაც მიიღწევა მიწოდების სტიმულირების მეშვეობით საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის საფუძველზე. პროგრამაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ გადასახადის განაკვეთების შემცირებით ხდება არა მხოლოდ მიწოდების, არამედ, მოთხოვნის გადიდების სტიმულირებაც, რამდენადაც დაბეგვისაგან განთავისუფლებული თანხები ზრდის შემოსავლებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია როგორც სამომხმარებლო საქონლის შესაძენად, ასევე ინვესტიციებისთვის.

საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა პარქტიკულად არ იძლევა სახელმწიფო ხარჯების გადიდებით მოთხოვნის სტიმულირების შესაძლებლობას. ამიტომ, მთავარია მოთხოვნის სტიმილირება გადასახადების განაკვეთების შემცირების გზით. მიღებული ეფექტი აისახება სოციალური პრობლემების გადაჭრაში, უწინარესად დასაქმების რეგულირებისათვის.

ამგვარად, ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა სტიმულს აძლევს, ერთი მხრივ, მიწოდებას და მეორე მხრივ, მოთხოვნას.

მრავალი ქვეყნის გამოცდილება მოწმობს, რომ რადიკალური რეფორმა მეწარმეთა ფენის ფორმირებასთან ერთად, გულისხმობს უფრო ღრმა და საფუძვლიან სიახლეებს – მესაკუთრეთა და მსხვილი, საშუალო და წვრილი კაპიტალის სისტემის ფორმირებასაც. საკუთრების რადიკალური რეფორმა, რომლის მიზანიცაა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად, საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნების დამკვიდრება, პრობლემას წარმოადგენს. ბუნებრივია, სახელმწიფო სექტორის მთლიანად გაუქმება დაუშვებელია, ვინაიდან საკვანძო დარგებს (თავდაცვა, მრეწველობა, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, და სხვა) სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს.

საქართველოს რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნის სისტემაში უადრესად სათუთი და დიდი ეროვნულ - სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემაა აგრარული რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს საკუთრებისა და მიწათსარგებლობის რეფორმასაც. კერძოდ, მიწათ

სარგებლობის ინსტიტუტის შემოღებას, არსებულ მეურნეობათა ფორმირებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა თვისობრივ გარდაქმნას.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების გათვლისწინებით, თანდათანობით დამკვიდრდება მიწათსაკუთრების ყველა შესაძლებელი ფორმა. ურთიერთობებისა და განვითარების შემდგომ ეტაპზე, მიწა გადაიქცევა ყიდვა – გაყიდვის ობიექტად, რომლის რეგულირებაც მოხდება მიწის კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებათა შესაბამისად, მთლიანად მოწესრიგდება აგრარული სექტორი, სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციის შეკვეთების, სოფლის სოციალურ ინფრასტრუქტურზე გონივრული ზემოქმედების თუ სხვა გზით.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განსახელმწიფოებრიობის პრობლემა არ არსებობს დამოუკიდებლად. ის უნდა გადაწყდეს კონკრეტული ეკონომიკის ჩამოყალიბების, საზოგადოებრივი წარმოების ლიბერალიზებისა და დემონოპოლიზების პროცესებთან მჭიდრო ურთიერთ კავშირში, რაც გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა.

აგრარული ურთიერთობათა არსებითი სპეციფიკა ისაა, რომ სოფლის მეურნეობაში კვლავწარმოება საზოგადოებისა და ბუნების კანონების ერთობლივი ზემოქმედებით უნდა წარიმართოს. სოფლის მეურნეობაში წარმოების შედეგები მერყეობს წლების მიხედვით ჩამოყალიბებული კლიმატური პირობების მიხედვით, რაც მეურნეობის გაძლიერებაში სტიქიურობის ელემენტებს ამკვიდრებს და წარმოშობს მოთხოვნას მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესის მიმართ, რომლის მიღწევების გამოყენებამაც უნდა უზრუნველყოს ნიადაგის, მცენარეებისა და ცხოველების ბიოლოგიური პროგრესი. საწარმოო ძალების განვითარება, ჯერ-ჯერობით ნაკლებად მოქმედებს წარმოების პირობებსა და შედეგებზე.

უპირველეს ყოვლისა, განვახორციელებთ მეურნეობის ფორმების თვისობრივ გარდაქმნას. ფერმერული, საიჯარო, სააქციო, კოოპერატიული და სხვა სახის მეურნეობის ფორმირება, ღირეპტიული დაგეგმვის საბოლოოდ შეცვალა ინდიკატორული დაგეგმვით, სახელმწიფოებრივი კანონმდებლობითა და ეკონომიკური რეგულირებით შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური სფეროს გარდაქმნა. ყოველივე ამის შემდეგ საბაზრო ეკონომიკაზე გადასავლა და მიწაზე საკუთრების ყველა შესაძლო ფორმის დამკვიდრება, კერძოდ: კოლექტიური, სახელმწიფოებრივი, ეკლესია მონასტრების საკუთრება, მაგრამ, გარდამავალ პერიოდში მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი გარკვეული ნაწილისაგან განსაკუთრებით მსხვილი მაღალსპეციალიზებული და მექანიზებული მეურნეობის შექმნა არსებითად შეცვლილი შინაარსითა და ფუნქციებით. გარდამავალი პერიოდისათვის ერთ-ერთი მისაღები ფორმაა მეურნეობისათვის სრულიად ახალი ტიპის კოლექტიური მუშაობა, სრული სამეურნეო დამოუკიდებლობით, რომლის თითოეული წევრი გახდება კოლექტივის საერთო ქონებაში თავისი წილის მესაკუთრე, რაც განმტკიცებული იქნება საწარმოს მიერ გამოშვებული და სახელმწიფო კანონმდებლობით დაცული აქციებით. ასეთი კოლექტივის წევრები შრომის ანაზღაურებასთან ერთად ყოველწლიური მოგებიდან მიიღებენ კუთვნილ დივიდენდებს აქციებზე.

სოფლის მეურნეობის საწარმო ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროების მიხედვით მოცემულ ტერიტორიაზე შეიქმნება მატერიულ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და მომსახურების ასოციაციები, კოოპერატივები და ა.შ. საქმიანობა წარიმართება მსურველთა განცხადებებისა და ურთიერთ ხელსაყრელ ხელშეკრულებების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში სპეციალიზებული ასოციაციები და კოოპერატივები უზრუნველყოფენ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის შესყიდვას, შენახვას და რეალიზებას შეთანხმებულ ფასით. ამგვარად, აგრარული სექტორის საბაზრო ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებათა შესაბამისად, აგრარულ სფეროზე მთლიანად, განსაკუთრებით კი, ფერმერთა საქმიანობაზე, გარკვეულ

ზემოქმედებას მოახდენს სახელმწიფო : აგრობიზნესის პრობლემებს მოაგვარებს და დაარეგულირებს როგორც წესი, პროდუქტთა ხარისხის მართვის სამმართველო, ვაჭრობის სამინისტრო, კომისია საერთაშორისო ვაჭრობის დარგში, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მათ შორის ფასების, დაკრედიტების, გასაღების, მიწის დაცვის, საერთაშორისო ვაჭრობისა და სხვა, რომლებიც ქმედით, მობილურ პროგრამებს წარმოადგენენ. ასევე, სოფლის მეურნეობის განვითარებაში უნდა ამოქმედდეს მიტოვებული საქმიანობის დანერგვა და აღდგენა. ტრადიციული და „სასურსათო“ მნიშვნელობის დარგები, როგორცაა: მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა, კვლავაც ინტენსიურად უნდა განვითარდეს ვაზის, ხილის, ჩაის ციტრუსების და მათი გადამამუშავების წარმოება, ყურადღება გამახვილდება არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებელზე, ვინაიდან ბაზრის კონიუნქტურა მარკეტინგულ მოთხოვნას ითვალისწინებს. მერაბ კოსტავას საზოგადოების აგრარული პროგრამა მიმართულია წარმოების ტექნიკური გაუმჯობესებისა და ტექნოლოგიების სრულყოფისაკენ, პროდუქციის შენახვა-გადამამუშავების ბაზის განმტკიცებისა და ტრანსპორტირების გაუმჯობესებისაკენ ისე, რომ აგრო ბიზნესის რთულ ჯაჭვში გამოირიცხება პროდუქციის მინიმალური გაუთვალისწინებელი დანახარჯები და ხარისხის გაუარესების ერთეული შემთხვევებიც კი, ხოლო ფერმერს მიეცემა სრული დამოუკიდებლობა. განვითარების ამ ფონზე შეიქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზრის სტაბილიზება.

დედამიწის ბუნებრივ – ეკონომიკური პოტენციალი ამოუწურავია და კაცობრიობა თუ გარემოს გონივრლად გამოიყენებს, შიმშილი არ მოგველის, ამის გარანტს წარმოადგენს დასამუშავებელი ვარგისი მიწების მთლიანად ათვისება და სოფლის მეურნეობის სავარგულების ზრდის ტენდენციები.

საქართველოს ეკონომიკაში არის უამრავი დარგი, რომელსაც აქვს პოტენციალი უმოკლეს ვადაში დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები შიდა ბაზარზე, რომელსაც ხშირად მისი უცხოური და ამავე დროს, უპირატესად, უხარისხო ანალოგიები ავსებენ. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ბაზრის რეალურ მოთხოვნათა და ცვლილებათა საფუძვლიანი კვლევა, რათა ზუსტად განისაზღვროს ის სფეროები, რომლებიც სახელმწიფომ უპირატესად უნდა მიიხნოს და როგორც შიდა ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების, ასევე ნაკისრი საერთაშორისო ვაჭრებულეების ფარგლებში მოახდინოს მათი მაქსიმალური წახალისება და ხელშეწყობა. ეს პროცესი უნდა ატარებდეს მუდმივ ხასიათს, რათა ქვეყანა არ მოწყდეს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე ტენდენციებს. პარალელურად ადგილობრივი პროდუქციის შიდა ბაზარზე დამკვიდრების უზრუნველსაყოფად აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება რამდენიმე მიმართულებით. უპირველესად უმნიშვნელოვანესია ბიზნესის დასაწყებად და საწარმოებლად აუცილებელი ნებართვების სისტემის მაქსიმალურად გამარტივება, როგორც პროცედურულად, ასევე ქრონოლოგიურად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფალსიფიცირებასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლას, რადგან თავისი მნიშვნელობით, ეს ფაქტორები ეროვნული წარმოების განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ხელისშემშლელია. აუცილებელია ფალსიფიცირებასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლის მეთოდებისა და კანონმდებლობის მკვეთრი გამკაცრება და შესაბამისი სანქციების მაქსიმალურად ამოქმედება. საქართველოს, როგორც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოს, ნაკისრი აქვს ვაჭრებულეობა, რომ უზრუნველყოფს თანაბარი პირობების შექმნას, როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტირებული საქონლისათვის. თუმცა, მისი დღევანდელი სტატუსიდან გამომდინარე საქართველოს აქვს უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოახდინოს დიფერენცირება. აუცილებელია ამ მცირე უპირატესობით დროულად სარგებლობა, რათა ბაზრების სრული ლიბერალიზების ეტაპისთვის ქართულ საწარმოებს ჰქონდეთ გარკვეული რეზერვი იმპორტულ საქონელთან კონკრეტულ ბრძოლაში ბაზრის შესანარჩუნებლად. იმავედროულად, სახელმწიფომ საგადასახადო და სხვა ტიპის კანონმდებლობით უნდა წახალისოს ხარისხიანი,

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და შექმნას პირობები, რომ უხარისხო, ძველი და არაეკოლოგიური ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქცია გეგმაზომიერად განიდევნოს ბაზრიდან და ამ ყოველივეს განხორციელება მოხდეს დაბალი საბაჟო ტარიფების საფუძველზე, ვინაიდან ბაჟი სამოსავლოდ პროდუქციის ფასსზე იქონიებს გავლენას.

პრიორიტეტული უნდა გახდეს მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობა, კვების, გადამამუშავებელი, მსუბუქი მრეწველობა და ტურიზმი, მასთან მომიჯნავე დარგებით. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი როლი ჩვენს ეკონომიკაში უნდა შეასრულოს ტრანსპორტმა. ამ პრიორიტეტების რეალურ განხორციელებისათვის აუცილებელია მიწაზე საგადასახადო პოლიტიკის იმგვარი ცვლილება, რომელიც სტიმულს მისცემს მეწარმეს.

ხელშემწყობი პირობები უნდა შევქმნათ მსუბუქი და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის. ეროვნული მრეწველობის გამოცოცხლებამდე ეკონომიკური მეთოდებით დავიცავთ შიდა ბაზარს. ხელს შევუწყობთ ეროვნული წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი წილი უკავია საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში. სოფლად დასაქმებულია ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სექტორის ხელშეწყობა დიდწილად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის საბოლოო სიძლიერეს.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, ფერმერული მეურნეობის განვითარება აგრეთვე გულისხმობს საკრედიტო რესურსებზე მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რაც შესაძლებელია რამდენიმე მექანიზმით განხორციელდეს.

გადამამუშავებელი მრეწველობა ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიულია საქართველოს ეკონომიკისათვის. საქართველოში არსებული რესურსული ბაზა და ბაზრის თავისებურებები შესაძლებელს ხდის მთლიანი ჯაჭვის ამოქმედებას აუცილებელი ნედლეულის (ხილი, ბოსტნეული, სხვა პროდუქცია) წარმოებიდან დაწყებული და მათგან შესაბამისი საკონსერვო თუ სხვა ნაწარმის გამოშვებით დამთავრებული. დარგის პერსპექტიულობას ხელს უწყობს ბაზრის მუდმივად მზარდი მოთხოვნილება ამ სახის პროდუქციაზე და ასევე დარგის სპეციალისტების მაღალი პროფესიონალიზმი. გადამამუშავებელი მრეწველობის წახალისებით აუცილებელია დარგის ფუნქციონირებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების იმპორტზე შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის გავრცელება და ზოგიერთ შემთხვევაში გადასახადების გაუქმებაც. ამავე დროს, მნიშვნელოვანია ამ სფეროში ჩადებული ინვესტიციების საგანგებო ხელშეწყობა და მისთვის მაქსიმალურად მოხერხებული გარემოს შექმნა, ნედლეულის (ადგილობრივის) შესყიდვის პროცედურების გამარტივება და ამ ოპერაციის ეკონომიკური ხელსაყრელობის გაზრდა, ასევე ბაზარზე საბოლოო პროდუქტის გატანის ხელშეწყობა და მისთვის ადმინისტრაციული და სხვა სახის ბარიერების მოშლა.

აგრარული მეურნეობების ხელშეწყობის უმთავრეს გარემოებებად უნდა იქცეს მიწის ბაზრის რეფორმის ბოლომდე მიყვანა, აგრეთვე მიწის, როგორც ლიკვიდური პროდუქტის ფორმირებისათვის ხელშეწყობა, რათა მიწით სარგებლობა უფრო მოქნილი და მოსახერხებელი გახდეს არა მხოლოდ წარმოების მხრივ, არამედ სხვადასხვა ეკონომიკური ოპერაციების (ყიდვა, გაყიდვა, გირავნობა) განსახორციელებლადაც.

საქართველოში მშენებლობა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი დასავლური სტანდარტების შესაბამისი და მაღალი კონკურენციის პირობებში მოღვაწე დარგია. აქედან გამომდინარე, მისი ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი ძირეული ფაქტორი იქნება. დარგის განვითარებისათვის აუცილებელია მოძველებული სამშენებლო კანონმდებლობისა და სტანდარტების უსწრაფესი შეცვლა, მშენებლობათა დასაწყებად და საწარმოებლად აუცილებელი ადმინისტრაციული მოთხოვნების მკვეთრად ჩამოყალიბება, გამარტივება და ზომიერი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც ერთი მხრივ მშენებლობათა გაზრდის სტიმულირებას მოახდენს, მეორეს მხრივ კი სექტორს ჩრდილოვანი ეკონომიკის ზონიდან გამოდევნის. სამშენებლო სექტორის განვითარება დღის წესრიგში აყენებს სამშენებლო მასალების წარმოების გაფართოებას. ამ დარგს სერიოზული საექსპორტო პოტენციალიც აქვს.

საქართველოში მეტალურგია სრულიად დაუმსახურებლად ერთ-ერთ ყველაზე უიმედო დარგად არის მიჩნეული. ქვეყანაში მიმდინარე მშენებლობებისა და გადაიარაღების პროცესი ნათელს ხდის, რომ ამ სივრცეში ნამდვილად არსებობს ადგილი ქართული მეტალურგიული პროდუქციის ინტეგრირებისათვის. ერთი მხრივ, საქართველოში გამოკვეთილი ბინათმშენებლობის ბუმი, მეორე მხრივ კი უმსხვილესი საერთაშორისო პროექტების (ნავთობსადენები, გაზსადენები, ენერგომატარებლები და სხვა) განხორციელება შესაძლებელს ხდის ქართული მეტალურგიული კომპლექსის ჩართვას და მისი იმ სეგმენტების დასაქმებას, რომელთაც აქვთ უნარი, აწარმოონ კონკურენტული (ხარისხით, ფასით და სხვა მაჩვენებლებით) პროდუქტი. საამისოდ აუცილებელია ბაზრის მოთხოვნათა შესწავლა და მეტალურგიულ კომპლექსში იმ მიმართულებების წახალისება, რომელთაც ზრდის პერსპექტივა გააჩნიათ. იმავდროულად, აუცილებელია სახელწიფომ უფრო მეტად დაიცვას საკუთარი მწარმოებლების პოზიციები და ყველა შესაძლო პროექტში მოახდინოს მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

საქართველოს აქვს შესაძლებლობა შეინარჩუნოს და განავითაროს მძიმე მრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული დარგი მანქანათმშენებლობა. საყურადღებოა ისიც, რომ



საქართველოში არსებობს სათანადო ბაზა და რესურსი, რათა მოხდეს ახალი მანქანების არა მხოლოდ გამოშვება, არამედ მათი პერმანენტული გაუმჯობესება, ექსპლუატაციის მუდმივი კონტროლი, შეკეთება და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ ეს სფერო ერთ-ერთი ყველაზე მაღალ შემოსავლიანია, ის სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღების საგნად უნდა იმყოფებოდეს. კერძოდ, მუდმივად უნდა ხდებოდეს ამ პროდუქციის მწარმოებელ ბაზრებზე დამკვიდრება და კონიუნქტურის ცვლილებათა ოპერატიული გათვალისწინება, რათა დარგმა დიდი დანაკარგები არ განიცადოს და სასაქონლო რიგიც მუდმივად ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი იყოს. მანქანათმშენებლობის განვითარების პერსპექტივა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების და კომუნალური მეურნეობის ინფრასტრუქტურის აღდგენის ტემპზე, დარგის მხარდაჭერისთვის საჭიროა სახელმწიფო დაკვეთები. ოპტიმალური საგადასახადო კანონმდებლობა დარგს საშუალებას მისცემს საყოფაცხოვრებო მომსახურების საგნების წარმოების მაშტაბები გაზარდოს.

საქართველოს გააჩნია ბუნებრივი რესურსები, თუმცა, მათი ათვისება და გამოყენება ძალიან მცირე დოზით ხდება და ქვეყნის გარეთ მზა პროდუქციის ნაცვლად უპირატესად ნედლეული გაედინება, რაც ეკონომიკის სტრუქტურასაც ამახინჯებს, ქვეყნის მრეწველობის შესაძლებლობებსა და დასაქმების პრობლემასაც ამცირებს. აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოში არსებული ყველა რესურსის (ბუნებრივი, მეორადი და სხვა) პოტენციალის შესწავლა და მისი საქართველოშივე მაქსიმალურად გამოყენების ხელშეწყობა. ეს პრაქტიკა დღევანდელი მდგომარეობით გაჩერებული ბევრი დარგის თუ წარმოების ამუშავებას შეუწყობს ხელს, რაც ეკონომიკურთან ერთად სოციალური სტაბილურობის გარანტიაა. ქვეყნის ეკონომიკა უნდა დაეფუძნოს ჩვენი ბუნებრივი რესურსებიდან ყველაზე მნიშვნელოვანის - მტკნარი სასმელი წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებს.

ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სასიცოცხლოდ აუცილებელია ადგილობრივი გენერაციის ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის წახალისება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ადგილობრივი ენერგორესურსების გენერაციის მაქსიმალურ ხელშეწყობას, რაც გულისხმობს როგორც არსებული სიმძლავრეების გადაიარაღებასა და მაქსიმალურად გამოყენებას, ასევე ახალი ენერგოწყაროების (მცირე ჰესები, ეკონომიკურად ეფექტური თბოსადგურები და სხვა) ამოქმედებას. პარალელურად, უნდა ამოქმედდეს სპეციალური პროგრამა, რომელიც ქვეყნის ენერგოსისტემაში არატრადიციული ენერგორესურსების (ქარის, მზისა და სხვა ენერგიები) წილის გაზრდას და ეკოლოგიურად მძიმე და ხარჯტევადი ტრადიციული ენერგეტიკის წილის შემცირებას შეუწყობს ხელს. ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის ენერგობალანსის დაცვას, როგორც მასში გამოყენებული წყაროების, ასევე ქვეყანაში ენერგიის იმპორტის თვალსაზრისითაც. უნდა მოხდეს მოწოდების მაქსიმალური დივერსიფიკაცია, რათა მომწოდებელთა შორის არსებობდეს კონკურენცია, ქვეყანა არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ მონოპოლურ მომწოდებლებზე.

ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ დარგად უნდა იქცეს ტრანსპორტი. საუბარია არა მხოლოდ დიდ საავტომობილო გადაზიდვების ქსელში ჩართვასა და ნავთობ-გაზ-მილსადენებზე, არამედ რკინიგზის შემდგომ განვითარებაზე, პორტების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვაზე, საქართველოს საჰაერო სივრცის ეფექტურ გამოყენებაზე, საკუთარი, შესაბამისი (საჰაერო, საზღვაო, საავტომობილო) კომპანიების განვითარებაზე, ისეთ პერსპექტიულ და მაღალრენტაბელურ დარგზე, როგორიც არის ელექტროენერჯის ტრანსპორტირება. ცხადია, ამ პრიორიტეტების გამოყოფა არ ნიშნავს ეკონომიკის სხვა დარგების უგულვებელყოფას. საქართველოსათვის საინტერესოა და ახლო პერსპექტივაში პრიორიტეტულად უნდა იქცეს საფინანსო ინსტიტუტების რეგიონული ცენტრის შექმნა, საგანგებო ეკონომიკური ზონების ეფექტური ამოქმედება და თანამედროვე კავშირგაბმულობა.

საქართველოში, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობის ამალგებისა და დამკვიდრებისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციების გამართული და მდგრადი სისტემის არსებობას. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს საავტომობილო გზებზე გზათა მშენებლობის საქმეში სახელმწიფოსთან ერთად მიმდინარეობს კერძო სექტორის ჩართვის უზრუნველყოფაც, რათა გზათა ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად მოკლე პერიოდში მოვიდეს შესაბამისობაში, რაც ერთ-ერთი უმთავრესია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალია. მის განვითარებაზე დიდ წილად არის დამოკიდებული ქვეყნის შემდგომი წინსვლისთვის კრიტიკულად აუცილებელი საშუალო ფენის ჩამოყალიბება და ეკონომიკური მდგრადობის მიღწევა, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის წინაშე მდგარი დასაქმების უმწვავესი პრობლემების მოგვარებას. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად აუცილებელია მოქნილი, კარგად განვითარებული საგადასახადო პოლიტიკის გატარება. მცირე და საშუალო მეწარმეთათვის აუცილებელია იოლი სასტარტო პირობების შექმნა საქმის დასაწყებად. კერძოდ, აუცილებელია საქმის დასაწყებად საჭირო ნებართვებისა და სხვა პროცედურების მაქსიმალურად შემცირება და ვადებში შემჭიდროება, ასევე საწყისი 2-3 წლის განმავლობაში მცირე და საშუალო საქმის ობიექტების გადასახადებისაგან სრული განთავისუფლება. პარალელურად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საქმის მწარმოებელი ამ სპეციფიკური ჯგუფებისთვის იაფი და შეღავათიანი საბანკო კრედიტების სისტემის დანერგვის წახალისება.

ქართული ეკონომიკის სისტემაში უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალის რეალურ შეფასებასა და ათვისებას. საამისოდ აუცილებელია ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაანალიზება და მხოლოდ ამის შემდგომ მის განვითარებაზე სათანადო ზრუნვა. თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა მაქსიმალურად უნდა იყოს წახალისებული ყველა ეტაპზე და ყველა მიმართულებით. ჩვენს ქვეყანას ტურიზმისა და ტურიზმთან დაკავშირებული ინდუსტრიის განვითარებისათვის საკმარისი პოტენციალი გააჩნია. ტრადიციულ ტურიზმთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში პერსპექტიულია სამთო და საზღვაო ტურიზმი, ასამოქმედებელია კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტები. უთუოდ ასაღორძინებელია ტურიზმი საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად. საგადასახადო და სხვა სახის ხელშეწყობა სჭირდება გზებისა და ტურისტული ობიექტების მშენებლობას, სათანადო გართობისა თუ დასვენების საშუალებების იმპორტს, ქვეყნის გარეთ საქართველოს ტურიზმის სისტემის რეკლამირებას. პარალელურად, სახელმწიფომ დახმარება უნდა აღმოუჩინოს ხარჯტევადი ტურისტული სახეობების განვითარებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე.

მაქსიმალურად უნდა წახალისდეს მეცნიერებისა და სამეწარმეო საქმის შერწყმა. პერსპექტივაში უნდა განვითარდეს მეცნიერებატევადი ტექნოლოგიები -- ინდუსტრიული, ბიოლოგიური, ინფორმაციული, განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება ინოვაციურ შემოქმედებას (პატენტები, ნოუ-ჰაუ, სავაჭრო მარკა და ა.შ.).

ეთნოკონფლიქტების მოგვარება, ქვეყნის განვითარებისათვის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში, დიპლომატიურ და სამხედრო რესურსებთან ერთად, აუცილებელია იმ ფაქტის კარგად გააზრება და აქცენტირება, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დაკარგულ ტერიტორიებთან მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაციის პროექტების განხორციელებას. როგორც აფხაზეთის, ასევე ცხინვალის რეგიონთან უნდა მოინახოს ისეთი შეხების წერტილები, რომლებიც ეკონომიკური კავშირუროთიერთობების აღდგენასა და დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. ეს იქნება გაცილებით ქმედითი ნაბიჯი ამ კონფლიქტების აღმოსაფხვრელად ვიდრე ის მიმართულებები, რაზეც დღეს არის აქცენტი გაკეთებული.

საქართველოს ბაზრის მოცულობის შედარებით სიმცირიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ექსპორტზე ორიენტირებული დარგებისა და წარმოებების ხელშეწყობას. ამ თვალსაზრისით, გასატარებელია ღიფერენცირებული საექსპორტო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს, ერთი მხრივ, ტრადიციული ბაზრების დაბრუნებას, მეორე მხრივ კი, ახალ ბაზრებზე გასვლას და მათ ათვისებას. ტრადიციულ ბაზრებზე მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ის უპირატესობები, რაც ქართულ პროდუქციას აქვს (სავაჭრო მარკების ცნობადობა, მოქნილი საფასო სისტემა და ა.შ.), რაც შეეხება ახალ ბაზრებზე დამკვიდრებას, მსოფლიო ბაზრებზე მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს იმ დარგებისა თუ საწარმოების კონკრეტული ხელშეწყობა (ფინანსური, მარკეტინგული, საკონსულტაციო), რომელთაც აქვთ საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრების პერსპექტივა.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ადმინისტრაციული უწყებები იმთავითვე უპირატეს მდგომარეობაში არიან ჩაყენებული. მათ შეუძლიათ პრაქტიკულად ნებისმიერი საბაბით შეაფერხონ ან საერთოდ გააჩერონ მეწარმის საქმიანობა. მეწარმისთვის უაღრესად მოუხერხებელია გასაჩივრების პროცედურა. საქართველოს საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს შესაბამის უწყებათა უფლებამოსილებების მკვეთრ შეზღუდვას. სამეწარმეო საქმიანობის შეჩერება უნდა ხდებოდეს მხოლოდ სასამართლოს სანქციით, უნდა შეიცვალოს გასაჩივრების პროცედურა, სადაც პრიორიტეტი მიენიჭება საქმეს და არა ადმინისტრაციულ უწყებას, მეტი უფლებამოსილებით აღიჭურვება დამოუკიდებელი არბიტრაჟი. გაუქმდება ადმინისტრაციული უწყების უფლება დააჯარიმოს, დალუქოს, შეაჩეროს ბიზნესის საქმიანობა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე.

სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის სწორი საგადასახადო ურთიერთობის აწეობა, სწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარება სახელმწიფოებრიობის ბალანსის შექმნას ნიშნავს. საქართველოში ეს საძირკველი ჯერ კიდევ არ შექმნილა და საჭიროა საგადასახადო სისტემის ძირეული გადახედვა. ყოველივე ზემო აღნიშნულთან ერთად აუცილებელ პირობას წარმოადგენს რამდენიმე პრინციპული ცვლილების დაუყოვნებლივ გატარება, კერძოდ:

- ა) შეიქმნას საგადასახადო დაგების კერძო არბიტრაჟი;
- ბ) გაუქმდეს გადასახადების ავანსად გადახდის წესი;
- გ) შემცირდეს საშემოსავლო გადასახადი 10%-მდე, მოგების გადასახადი 12%-მდე, დღგ–ი 15%-მდე;
- დ) გაუქმდეს საკონტროლო სალარო აპარატები ბაზრობებზე მცირე მეწარმეთათვის და მის ნაცვლად შემოდებულ იქნეს ფიქსირებული გადასახადი;
- ე) გადაიხედოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა. ნებისმიერი ცვლილება საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდეს მიღებიდან მომდევნო კალენდარული წლის პირველი იანვრიდან;
- ვ) დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდეს ანტიმონოპოლური სამსახური, რომელიც დაიცავს წვრილ და საშუალო ბიზნესს კლანურ-ნომენკლატურული მონოპოლიებისგან და გამორიცხავს ფასების ხელოვნურ ზრდას;
- ზ) გადაიხედოს 2004–2010 წლებში გამოტანილი ყველა საგადასახადო დაგების, გადაწყვეტილებების, განაჩენის კანონიერება და გამოიცეს მასშტაბური სრული ფინანსური ამინისტია;
- თ) სასწრაფოდ უნდა განახევრდეს ტარიფები ელექტროენერგიაზე, აირზე, ტრანსპორტზე, სატელეფონო კავშირებზე და კომუნალურ გადასახადებზე;
- ი) დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს ყოველგვარი კოლექტიური მრიცხველები.

კ) უნდა გადაიხედოს და რიგ შემთხვევებში გაუქმდეს კაბალური გადასახადი წყალზე, სარწყავზე, ხეხილზე, პირუტყვზე, ტყითსარგებლობაზე, მიწათსარგებლობაზე.

## განათლება, მეცნიერება, კულტურა და სპორტი

განათლების სისტემა საქართველოში რეალურად უნდა ეფუძნებოდეს ქართულ საგანმანათლებლო ტრადიციებს და უნდა მიუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს. განათლების სფეროს რეფორმა ასევე კერძო ინიციატივის წახალისებას, ახალი დისციპლინების დანერგვას და ნოვატორული სასწავლო მეთოდების განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს.

განათლების სისტემაში ცვლილებები უპირველეს ყოვლისა ეხება დაფინანსების საკითხს. აუცილებელია სისტემის რეფორმირება მის ყველა ეტაპზე – სკოლამდელი და საშუალო სკოლებიდან უმაღლესი სასწავლებლის ჩათვლით. უნდა გადაისინჯოს და ახლებური სქემით მოხდეს მათი ფინანსირება.

სადღეისოდ სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბიუჯეტო დაფინანსება გაუჩერულ დაფინანსებაზე მოდის - ფინანსდება მოსწავლე და არა მასწავლებელი. ამგვარი მიდგომა განათლების სფეროს მიმართ მძიმე მდგომარეობაში აგდებს მცირეკონტინგენტის სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებთან მიმართებაში კი საერთოდ ნონსენსია. ერთ სულ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივი შესაძლებელია იყოს მაქსიმუმ, დაფინანსების ერთ-ერთი და ისიც არა განმსაზღვრელი კომპონენტი. საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს სასწავლებლების მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას და დაფინანსების სხვადასხვა ფორმების თანაარსებობას, სკოლების შენარჩუნებისა და ფუნდამენტური განათლების მიღების მიზნით.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიული კადრების მომზადებასა და დასაქმებას, სხვაგვარად შეუძლებელი გახდება საქართველოს მოწინავე ქვეყანათა რიგებში გაწევრიანება. საქართველომ უნდა შესძლოს ცოდნის, მეცნიერების, განათლების გავრცელებისა და აგრეთვე გამოყენების (დანერგვა, დასაქმება) კონკურენტუნარიანი სისტემის ჩამოყალიბება. ჩვენი უმთავრესი ეროვნული სიმდიდრე უნდა გახდეს კვალიფიციური კონკურენტუნარიანი მოქალაქეები.

განათლების სფეროს პრიორიტეტულობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მასწავლებლის პროფესიის საპატიოდ ქცევას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემების ჩამოყალიბებას, მათ შესაბამისობას ბაზრის მოთხოვნილებებთან და კვალიფიციური სამუშაო ძალის აღზრდას მათთვის სათანადო განათლების მიცემითა და გადამზადების გზით.

მასწავლებლის მინიმალური ხელფასი უნდა გაიზარდოს და გაუტოლდეს საშუალო რანგის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოხელის (პროკურორის და სხვა) ხელფასს. გარდა ამისა უნდა მოხდეს მასწავლებელთა ნებაყოფლობითი ატესტაციის შედეგისა და გამოცდილების გათვალისწინება ხელფასის განსაზღვრისას. რაც მეტად კვალიფიციურია მასწავლებელი, მით უფრო უნდა გაიზარდოს მისი სახელფასო განაკვეთი.

მოცემული კანონპროექტის მიხედვით ერთიანი ეროვნული გამოცდა არა მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების, არამედ (როგორც ეს ევროპის უმეტეს ქვეყანაშია), საშუალო განათლების ატესტაციის მიღების აუცილებელი პირობა გახდება. საგამოცდო საკითხების შინაარსი აუცილებლად უნდა ეთანადებოდეს სასკოლო პროგრამებს. გასაუქმებელია გამოცდა ზოგადი უნარების სინჯი, როგორც სრულიად ზედმეტი და ხელოვნური წინაღმდეგობა, უნარჩვევების წახალისება კი კონკრეტული საგნის პროგრამაში უნდა იყოს ჩადებული. სახელმწიფომ სრულად უნდა დააფინანსოს თერთმეტწლიანი საშუალო

განათლება. ყველა საბუნებისმეტყველო საგანი სკოლაში უნდა ისწავლებოდეს სისტემურად და ცალკე პროგრამით.

აუცილებელ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობისაგან თავისუფალი, ავტონომიური უმაღლესი სასწავლებლები. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე მოხდება მართვისა და სტრუქტურული მოწყობის სავალდებულო უნიფიცირებული მოდელის გაუქმება უმაღლეს სასწავლებლებში. უნივერსიტეტები მიიღებენ რეალურ ავტონომიას. დღეს აკრედიტირების მექანიზმი ხელისუფლების მიერ გამოიყენება, როგორც სასწავლებლების გაუქმებისა და დარჩენილი შენობა-ნაგებობის გაყიდვის ხელსაწყოდ. საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს განათლების სამინისტროსგან დამოუკიდებელი სააკრედიტირებო სააგენტოს შექმნას, საჯარო სკოლების აკრედიტაციის საერთოდ გაუქმებას, აკრედიტირების პროცესის მკაფიო გამიჯვნას ლიცენზირებისგან, რაც გულისხმობს ე. წ. “ინსტიტუციური აკრედიტაციის” გაუქმებას.

უნდა ამადღეს პედაგოგთა სოციალური ღირსება, სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს მეცნიერება. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მაღალტექნოლოგიური მეცნიერების განვითარებას, ქართული კულტურის შესწავლა-პოპულარიზებას, საქართველოს ისტორიის კვლევას, მთარგმნელობით საქმიანობას, განსაკუთრებით სამეცნიერო ლიტერატურის სფეროში. სახელმწიფო გრანტების გაცემისას (საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში) ფართოდ უნდა დაინერგოს სამეცნიერო თემების უცხოელ ექსპერტთა შეფასების პრაქტიკა (ცნობილ სამეცნიერო ცენტრებიდან). სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საბიბლიოთეკო ქსელის აღდგენა და გაშლა ქვეყანაში. მაქსიმალური საგადასახადო შეღავათი უნდა გაეწიოს პოლიგრაფიულ წარმოებას და წიგნით ვაჭრობას (მათ შორის წიგნის იმპორტს).

არსებული სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნებასა და განვითარებას სახელმწიფოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. აუცილებელია ამ დარგის დაფინანსების მექანიზმების სრულყოფა, სამეცნიერო ტექნიკური სფეროს რეფორმირება, რაც კონკურენტუნარიანი სამეცნიერო პროდუქციის შექმნასა და მსოფლიო დონის ფუნდამენტურ კვლევა-ძიებაზე იქნება ორიენტირებული.

საქართველოდან დღეს ყველა სიკეთესთან ერთად გაედინება ყველაზე ფასდაუდებელი სიმდიდრე-ინტელექტი, ამიტომ ამ დარგში საკადრო პოლიტიკის ამოსავალი უნდა გახდეს ნიჭიერი სამეცნიერო კადრების შენარჩუნება. ახალგაზრდების მეცნიერებაში მოზიდვასა და ჩართვისათვის, მათი შემოქმედებითი განვითარებისათვის აუცილებელია მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა, მატერიალ მხარდაჭერა, ხელფასების ზრდა, სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნა და სამეცნიერო სკოლების დაფინანსება. ამასთან, საჭიროა გამოიყოს ამ სფეროში შედარებით საჭირობოროტო მიმართულებები, ინფორმაციული და მაღალი ტექნოლოგიები, ეროვნული უსაფრთხოება, სოციალური საკითხები, ეკოლოგიური პრობლემები, სახელმწიფოს მართვის სრულყოფა და სხვა.

კულტურის მხარდაჭერა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რაც უპირველესად გამოიხატება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და დაცვაში, მსოფლიოს საზოგადოებისათვის გაცნობაში. სახელმწიფომ მთავარ მიმართულებად უნდა გამოიყოს დარგის რეფორმირება, რომელიც მიმართული იქნება სათანადო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისაკენ. ამ საქმისათვის სახელმწიფო სახსრების მობილიზებასთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია მეცენატობისა და კერძო პირთა, ორგანიზაციათა სპონსორობის ხელშეწყობა, საქველმოქმედო მოღვაწეობის დაბეგვრის მაქსიმალური შემცირება, რაც მოიზიდავს არასახელმწიფოებრივ სახსრებს და გაჩნდება მეტი შესაძლებლობა ხელოვნებისა და კულტურული სფეროს მუშაკთათვის ხელსაყრელი სამუშაო პირობების შესაქმნელად.

ჯანსაღი თაობის აღზრდას და მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას სახელმწიფომ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. შემოსავლების მიუხედავად ყველა უნდა შეეძლოს დაკავებული იყოს სპორტითა და ფიზიკური აღზრდით. ეს ამოცანა რომ

განხორციელდეს, უნდა შემუშავდეს შესაბამისი პროგრამები, მომზადდეს კვალიფიცირებული სპეციალისტები და გაუმჯობესდეს სპორტულ დაწესებულებათა მატერიულ - ტექნიკური ბაზა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო დაწესებულებებში, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას შორის სპორტული და გამაჯანსაღებელი საქმიანობის, მხედრული და ფიზიკური აღზრდის სისტემის რადიკალურად გარდაქმნის ღონისძიებებს. მაღალი რანგის სპორტსმენთა მომზადება სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა შეუძლია მხოლოდ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ეყრდნობა თანამედროვე მეცნიერებასა და ცოდნას, საღი აზროვნების სხვადასხვა ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ღირსეულ და კომპეტენტურ პიროვნებებს, ვისთვისაც საზოგადოებრივი ინტერესები უფრო ღირებულია.

ჩვენი ამოცანაა გარდავქმნათ ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების სტილი, დაუქვემდებაროთ პოლიტიკა განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ყველა მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით. სახელმწიფოს სტრატეგიული პოლიტიკა დაეფუძნება ეროვნული მეცნიერების, კულტურის, სპორტის განვითარებას.

ჩვენმა ქვეყანამ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კაცობრიობის წინაშე მდგარი გლობალური პრობლემების გადაჭრაში, განამტკიცოს წარმატებები, რომლებიც მიღწეულია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში და აქტიურად იღვაწოს იმისათვის, რომ საქართველომ ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო ერთა თანამეგობრობაში. ამ ამოცანების გადასაწყვეტად ჩვენ მზად ვართ, ინტენსიურად ვითანამშრომლოთ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანასწორუფლებიანობის პრინციპისა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით.

## **მედიცინა, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა**

საქართველოს სამედიცინო სისტემაში დღეს არსებული ვითარება ნათელი დასტურია იმისა, თუ რა შედეგები სდევს სანახევრადო რეფორმირებას. შედეგად, ეს სფეროსა დღეისოდ ვერც ძველიდან გამოვიდა და არც ახალ სისტემაზე გადავწყვო, ამ ეტაპზე ორივეს საკმაოდ არაუფექტიან ნაზავს წარმოადგენს. არსებული ვითარების დასაძლევად აუცილებელია დაწესებული რეფორმების უსწრაფესი დასრულება. კერძოდ, სახელმწიფოს როლის მეკეთრად გამოკვეთა და ამ მიმართულებით გამიჯვნა, რომელთა უზრუნველყოფასაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს. აუცილებელია სამედიცინო ობიექტების გააზრებული ოპტიმიზაციის განხორციელება და კერძო სამედიცინო პუნქტების შექმნის ხელშეწყობა, ასევე სადაზღვევო მედიცინის სისტემის დამკვიდრება. ეს ყველაფერი ჯანდაცვის აუცილებელი პაკეტის ხელმისაწვდომობას უნდა უზრუნველყოფდეს. პირველ რიგში, საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხარისხიანი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვას, რაც შესაბამისი ხელშემწყობი საბაჟო კანონმდებლობით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი სიტემა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საპენსიო ასაკის ზღვარის დაწევა და სავალდებულო დაზღვევის დანერგვა როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ისე კერძო სექტორში მომუსავე ადამიანებისთვის. კერძოდ, კანონის ძალით სავალდებულო გაუხადოთ კერძო კომპანიებში, სააბქოებში, საწარმოებში, ფერმებში, შახტებში, და ა.შ მომუშავეთა კლასის დაზღვევა, ხოლო საპენსიო ასაკში მყოფი და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დაზღვევა საბიუჯეტო ფონდიდან. სევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პენსია თუ სოციალური დახმარება უნდა აკმაყოფილებდეს საარსებო მინიმუმს. ასევე გამოვდივართ ინიციატივით, რომ პენსიის მინიჭება მოქალასთვის მოხდეს არა ასაკობრივი ზღვარის დაწესებიდან, არამედ ადამიანის შრომის

უუნარობიდან გამომდინარე, რაც დამოწმებული იქნება დამოუკიდებელი ჯანდაცვის კომისიის მიერ შესაბამისი დოკუმენტით. პენსია გაეზრდებათ ომის ვეტერანებს წოდებების მიხედვით, თავდაცვაში მომუშავეთა პირებს, ომში მონაწილეობისა და დამსახურებების შესაბამისად, დაღუპული გმირების ოჯახების სოციალური დახმარება და დაზხვევით უზრუნველყოფა. და ა.შ.

სამედიცინო დახმარების გაიაფების მიზნით დაინერგება მაქსიმალური საგადასახადო შეღავათი სამკურნალო დაწესებულებებს, აგრეთვე ძირითადი საშუალებების, წამლების, სადიაგნოსტიკო რეაგენტებისა და კლინიკო-ლაბორატორიული მასალების იმპორტს. უნდა შეიქმნას სპეციალური ფონდი მრავალშვილიანი და მცირეშემოსავლიანი ოჯახებისათვის. აღნიშნულ ფონდში ანარიცხები განსაზღვრული უნდა იყოს სპეციალური კანონით.

ყოველივე ზემოთქმულის უზრუნველსაყოფად საჭიროა სოციალური ანარიცხების გაზრდა არა ხელფასის, არამედ საწარმოთა მოგების გადასახადისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ხარჯზე.

მედიკამენტებზე მონოპოლიის გაუქმება, წამლის გაიაფება, ჯანმრთელობის კომბინირებული დაზღვევა - თითოეული მოქალაქის საზრუნავია. დღეს საქართველოში რამდენიმე ფარმაცევტული ფირმა სრულად აკონტროლებს მედიკამენტების ბაზარს. მათ ხელშია წამლების წარმოებაც, იმპორტიც და დანაწილებაც. ასეთი არაჯანსაღი და თავისი არსით კორუფციული სისტემა განაპირობებს მედიკამენტების არაბუნებრივად მაღალ ფასს. ფარმაცევტული საქმიანობის დემონოპოლიზება აამოქმედებს კონკურენციის მექანიზმს და საგრძნობლად გააიაფებს წამლის ფასებს.

სახელმწიფო უზრუნველყოფს საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დაფინანსებას შერეული სადაზღვევო პრინციპით. საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების პრივატიზებას ხელისუფლება დღეს ძირითადად ფარმაცევტული კომპანიების მეშვეობით ახდენს, რაც წმინდა კორუფციული გარიგებაა და აშკარაა ინტერესთა კონფლიქტი – ფარმაცევტული კომპანია დაინტერესებულია საკუთარი პროდუქციის გასაღებით და ყველა სხვა სახის მედიკამენტის ბლოკირებას ახდენს, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის პაციენტის ჯანმრთელობას. აუცილებელია პრივატიზების შედეგების კანონიერების გადახედვა და არსებული მახინჯი პრაქტიკის გაუქმება. დღეს სამედიცინო პერსონალი პრაქტიკულად დაუცველია. ჩვენ გვაქვს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, მაგრამ არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც განსაზღვრავდა სამედიცინო საქმიანობის სუბიექტის (ექიმი, ექთანი, სანიტარი და ა. შ.) უფლება-მოვალეობებს.

საქართველოს ეროვნული ინტერესები მოითხოვს განსაკუთრებულ ზრუნვას მრავალშვილიან ოჯახებზე. საკანონმდებლო დონეზე უნდა არსებობდეს გარანტიები ორსული ქალებისთვის. სპეციალური ფონდიდან უნდა მოხდეს მათი სტიმულირება ყოველი მომდევნო შვილის გაჩენის შემთხვევაში.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დიდ წილად საქართველოში მცხოვრები დევნილების ინტერესების დაცვასა და მათ მიმართ სახელმწიფოს ღირსეულ მოპყრობაზე გადის. უნდა მოხდეს დევნილთა სოციალური დაცვის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება, მათ შორის სოციალური შეღავათების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემაში.

შრომითი მიგრაციის კუთხით დღეს სრული განუკითხაობაა. არსად არ არის აღრიცხული უცხოეთის რამდენი მოქალაქეა შემოსული და დასაქმებული საქართველოში და რამდენი საქართველოს მოქალაქე იმყოფება უცხოეთში. აუცილებელია ამ პროცესების აღრიცხვა და მოწესრიგება. უცხოეთის სახელმწიფოებთან გაფორმდება სპეციალური ხელშეკრულებები, სადაც გათვალისწინებული იქნება ე. წ. შრომითი ვიზების გაცემა. ამ ხელშეკრულებების საფუძველზე, უცხოეთის ქვეყნები გასცემენ ოფიციალურ ვიზას საქართველოს მოქალაქეებზე, რომლის მიხედვითაც მათ ლეგალურად ექნებათ მუშაობის უფლება. ასევე, საქართველოში უცხოეთის მხოლოდ იმ მოქალაქეს ექნება მუშაობის უფლება, ვიზედაც ანალოგიური ვიზა

გაიცემა. ამ კანონის მიღება შექმნის სერიოზულ ზღუდეს ტრეფიკინგის წინააღმდეგ და ასევე მოაწესრიგებს საქართველოში მომუშავე უცხოელებისგან გადასახადების ამოღების პროცესს.

ყოველივე ზემო აღნიშნულთან ერთად აუცილებელია რამდენიმე პრინციპული ცვლილების დაუყოვნებლივ გატარება, კერძოდ:

ა) დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს დეკრეტების, შვებულების და ბიულეტენების ტრადუციული ინსტიტუტი ყველა კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებისათვის;

ბ) მინიმალური ხელფასი და პენსია უნდა განისაზღვროს საარსებო მინიმუს ზევით – 200 ლარის ოდენობით. დროებითი უმუშევრობისათვის უნდა გაიცეს ღირსეული საზღაური – 150 ლარის ოდენობით;

გ) ოჯახი, როგორც სახელმწიფოს საფუძველი აღიარებული იქნება იურიდიულ პირად და გაიხსნება საბანკო ანგარიში. ახლად დაქორწინებულებისათვის ბიუჯეტიდან უნდა გადაირიცხოს 5000 ლარი, ხოლო თითოეული ბავშვის დაბადებისთანავე ოჯახს უნდა გადაერიცხოს 3000 ლარი;

დ) გადაუდებელი ოპერაციების, რეამინაციის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა მთლიანად უნდა დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან; 16 წლამდე ასაკის პაციენტთა მკურნალობა იქნება გარანტიებით; ყველა მხარეში უნდა გაიხსნას უფასო მუნიციპალური საავადმყოფო;

ე) დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს სოციალური დახმარება და შეღავათები სახელოვანი ვეტერანების, სამამულო ომის მონაწილეთა და რეპრესირებულთა ოჯახების მიმართ;

ვ) ხელისუფლების ცვლის მიუხედავად სახელმწიფო აპარატში მომუშავე ყველა მუშაკს უნდა შეუნარჩუნდეს სამუშაო ადგილი;

ზ) უნდა დაიწყოს ანაზრების გაცემა ეტაპობრივად, პრინციპით - უფროსი ასაკიდან და ქვემოთ სამართლიანი კურსით (ბანკში ანაზრის შეტანის მომენტისათვის დაფიქსირებული კურსით აშშ დოლართან).

ჩვენი ხალხის უმთავრეს პრობლემათაგან უპირველესს წარმოადგენს დასაქმების პოლიტიკა. გააზრებული საგადასახადო პოლიტიკის წარმოების პირობებში მცირე, საშუალო და მსხვილ საქმოსნებს მიეცემათ საშუალება, უფრო აქტიურად გაატარონ ლეგალური დასაქმების პოლიტიკა, რათა მათ მიეცეთ სტიმული დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდისა და ლეგალური აღრიცხვისათვის. საამისოდ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დამსაქმებლის მატერიულ წახალისებას. კერძოდ, მისი საგადასახადო ტვირთი უნდა მცირდებოდეს დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის პროპორციულად. რეალურად უნდა ამუშავდეს შრომის ბირჟებისა და დასაქმების ცენტრების სისტემა, რომელიც არსებული სამუშაო ძალის უფრო მკაფიო სტრუქტურირებას და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას უზრუნველყოფს. ჩვენ შევძლებთ განვახორციელოთ მატერიულ კეთილდღეობა, უმუშევრობის დაბალი დონე, ფართო პოლიტიკური უფლებების შერწყმა ისეთ ტრადიციულ ღირებულებებთან, როგორცაა სტაბილური ოჯახი და გამთლიანებული საზოგადოება.

ჩვენ მოკლედ გაგაცანით საკუთარი შეხედულებები საქართველოში შექმნილ ვითარებაზე და ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის გზებზე. ჩვენი გამარჯვება თქვენი გამარჯვებაც იქნება. მივმართავთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, რათა მოვიკრიბოთ ძალები, გამოვავლინოთ შესაძლებლობათა მაქსიმუმი, ერთიანი ძალისხმევით გამოვიყვანოთ ჩვენი სამშობლო ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კრიზისიდან. ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისათვის ყველასთან, ვინც იზიარებს ჩვენს ხედვას. კარგად გვესმის, რომ ჩვენს წინაშე ურთულესი ამოცანები დგას მაგრამ ჩვენ გვჯერა ჩვენი შესაძლებლობების, ჩვენი ხალხის ნიჭის, ენერჯისა და გონიერების, ჩვენ გვჯერა ჩვენი სიმართლისა და ჩვენი ერთად გამარჯვების.